TAV
Georgia

თარიღი : 17 / 04 / 2018
ნომერი : TAV.GM.4830

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ზურაბ წიქვაძეს
(მის: ქ.თბილისი 0108, თ. ჭოველიძის ქ. 10ა)

ასლი: „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორს ქალბატონ ქეთევან ალექსიძეს

ბატონო ზურაბ,

თქვენი, 2018 წლის 11 აპრილის №6/20148 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ჩვენს მოსაზრებას, ქ.თბილისში, აეროპორტში მდებარე, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ საკუთრებაში არსებული 23988 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან ნაწილი ფართის - 13 851 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N01.19.30.001.166) პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი 13R\31L ასაფრენ-დასაფრენი ზოლიდან დაშორებულია დაახლოებით 860 მ.-ით, ხვდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისაგან შემზღუდველი შიდა ჰორიზონტალური ზედაპირის ფარგლებში და მასზე დასაშვებია ისეთი შენობის/ნაგებობის განთავსება, რომლის სიმაღლე, საშუალო ზღვის დონიდან არ აღმატება +524.7 მეტრს.

საქართველოს საჰაერო კოდექსის მუხლი 41 „აეროდრომის რაიონში მიწათსარგებლობა და ობიექტების მშენებლობა" (22.12.2017.№462) შესაბამისად, ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთის მომავალი შემძენი/მესაკუთრე მასზე რაიმე სახის ობიექტის (შენობის, ნაგებობის, კავშირგაბმულობის, ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა) განთავსებამდე, ვალდებული იქნება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატანთან შეათანხმოს ობიექტის დასაშვები სიმაღლეები.

პატივისცემით,

ქ. მეთე ერქალი
გენერალური მენეჯერი

თეა ზაქარაძე
გენერალური მენეჯერის მოადგილე

OD

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თბილისის მომსახურების ცენტრი
შემოსვლის № 42099/9
20 04 2018 წ.
1 ფურცელი

TAV Urban Georgia LLC
Tbilisi International Airport
0158 Tbilisi, Georgia
T: (+995 32) 2 310 265
F: (+995 32) 2 310 322
www.tbilisiairport.com

URS UKAS
CERTIFICATE NO. 31199